

შუალედური/დასკვნითი გამოცდის აღდგენის პროცედურები.

შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და ამ მიზეზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით, შუალედური გამოცდის ჩატარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში და დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. გადაწყვეტილებას გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს დეკანი.

სტუდენტის მიერ შუალედური/დასკვნითი გამოცდის გაცდენა საპატიოდ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში.

აღდგენით გამოცდაზე მიღებული ქულა ჩაითვლება შუალედური/დასკვნითი გამოცდის ქულად. აღდგენითი გამოცდების გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტი ვეღარ ისარგებლებს საპატიო გამოცდაზე გასვლის უფლებით.